იტალიელების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ

ია მელქაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის პროგრამის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: ia.melkadze@tsu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0002-5559-8890

აბსტრაქტი. საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დაიწყო ინდივიდთა კერძო საკუთრების და უსაფრთხოების მასიური ხელყოფა. მსგავსი პირობებისაგან არც საქართველოში მცხოვრები იტალიის მოქალაქეები იყვნენ დაცულები. მიმდინარე სტატია მიმოიხილავს იტალიელთა უფლებრივ მდგომარეობას და საქართველოში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში. ნაშრომი ეფუძნება საარქივო მასალას იტალიის საკონსულოებიდან თბილისსა და ბათუმში.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა; იტალიელები საქართველოში; საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია.

* * *

შესავალი. იტალია–საქართველოს ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. XIII-XV საუკუნეებში იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების სავაჭრო ფაქტორიები შავი ზღვის სანაპიროზე აქტიურად იყო წარმოდგენილი (ხუბაშვილი, 2004), ხოლო კათოლიკე მისიონერები მხარს უჭერდნენ ქრისტიანულ ცხოვრებას საქართველოში. გაერთიანებული იტალიის კავკასიისადმი ინტერესის შესახებ ცნობები მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სპარსეთში გაგზავნილი მისიის შესახებ ცნობებში ჩნდება (La Mantia, 1997). იტალიურმა კულტურამ ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში. თბილისში იდგმებოდა იტალიური ოპერები, ხოლო იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ქართველ ინტელექტუალებზე დიდი გავლენა მოახდინა. ჯუზეპე გარიბალდი და იტალიის ეროვნული მოძრაობა ასახული იყო ქართულ პოეზიასა და პუბლიცისტიკაში (მორჩილაძე, 2015).

1918 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, იტალია იყო ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც ახალი რესპუბლიკა აღიარა. პირველი მსოფლიო ომის მომდევნოდ იგი სამხრეთ კავკასიის მანდატის აღებასაც კი განიხილავდა. იტალიის სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები კავკასიაში და საქართველოში ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს იყო წარმოდგენილი. მეოცე საუკუნის დასაწყისში იტალიის სამეფოს საკონსულოები ფუნქციონირებდა თბილისსა და ბათუმში. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ოკუპაციამ ეს მოცემულობა მკვეთრად შეცვალა. სწორედ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არსებულ მოვლენებს ასახავს აქ განხილული იტალიური პირველწყაროები, რომელიც იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ-დიპლომატიურ არქივში არის დაცული. მიმდინარე სტატიაში განხილულ საქმეებში აღწერილია იტალიის მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული შემდეგი ტიპის დანაშაულები: საკუთრების უფლების ხელყოფა, დაყაჩაღება, თანხის გამოძალვა და ფართის უკანონოდ დაკავება.

კვლევის მეთოდები. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები იტალიელი მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლას საბჭოთა ოკუპაციის ადრეულ წლებში. კვლევა ეფუძნება საარქივო და დოკუმენტურ ანალიზს, რაც ისტორიული პროცესების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა, როგორც ემპირიული მტკიცებულებების, ასევე ინტერპრეტაციული მიდგომის მეშვეობით. ვიყენებთ ორ ძირითად ანალიტიკურ ჩარჩოს: შინაარსობრივი ანალიზს, რაც მოიცავს ინდივიდუალური საქმეების არსის შესწავლას, განმეორებადი თემების იდენტიფიცირებას და კონტექსტის ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ხელთ არსებული მასალის განმარტებას და დაკავშირებას ვახდენთ უფრო ფართო პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებთან. კვლევა ეყრდნობა პირველად წყაროებს, რომელიც დაცულია იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიულ-დიპლომატიურ არქივში, ისევე როგორც მეორეულ ლიტერატურას, მათ შორის, ისტორიოგრაფიულ ნაშრომებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებს.

მსჯელობა. ისტორიულ კონტექსტში ადამიანის უფლებათა პრობლემატიკის აქტუალურობის მიმოხილვისას, აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ან თუნდაც 20-იან წლებში ადამიანის უფლებებზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით აკრძალული იყო სიკვდილით დასჯა და მისი მუხლებით განმტკიცებული იყო საკუთრების უფლება. კონსტიტუცია მიღებულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი საბჭოს მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ზუსტად საქართველოს საბჭოთა ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე.

იტალიელი მეწარმეები და მოქალაქეები საქართველოში ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის პერიოდიდან ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. საკუთრების უფლება გარკვეულ დონეზე დაცული იყო რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულით. თუმცა, საზოგადოდ, ადამიანის უფლებებზე საუბარი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როდესაც შეიქმნა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები და 1948 წელს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად იტალიაში XX საუკუნის 20-იან წლებში ფაშისტური მმართველობა დამყარდა, რამაც ადამიანთა უფლებები მკვეთრად შეზღუდა.

საარქივო მასალის შინაარსობრივი და კონტექსტური კვლევით ირკვევა, რომ XX საუკუნის დასაწყისში იტალიის მოქალაქეების ეკონომიკური ინტერესები საქართველოში სერიოზულად იყო წარმოდგენილი. აქ საქმიან ურთიერთობებში ჩართული იყო არაერთი იტალიელი წვრილი მეწარმე, ბიზნესი თუ ბანკი. საზღვაო მიმოსვლა მიმდინარეობდა საქართველოსა და იტალიას შორის. იტალიის მისიის წევრის, პროფესიით ექიმის, ე. კუკის დაკავების შემდეგ, პოლიტიკური წარმომადგენლობები საქართველოში დაიხურა (1922 წლის 23 აგვისტოს) (Mengarelli, 1998). თუმცა, საბჭოთა ოკუპაციის შემდეგაც ნაწილობრივ ნარჩუნდებოდა ეკონომიკური წარმომადგენლობა ქვეყანაში დარჩენილი იტალიის მოქალაქეების ინტერესების დასაცავად. გაძლიერებული რეპრესიების პირობებში, საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დარჩენა სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდებოდა, რითაც აიხსნება იტალიის წარმომადგენლობის გასვლა უკვე საბჭოთა საქართველოდან.

ჩვენს მიერ განსახილველი პირველი საარქივო დოკუმენტი (იხ. დოკ.:1) 1921 წლის 26 აპრილით თარიღდება. შუამდგომლობით ირკვევა, რომ თბილისში იტალიის სამეფო წარმომადგენელმა, ფრანზონიმ, ოფიციალურად მიმართა საბჭოთა კომისარიატს, რათა დაებლოკა და გაეუქმებინა N.A.G. მარკის ავტომობილის რეკვიზიცია. ეს ავტომობილი ეკუთვნოდა იტალიურ ფირმას „ძმები რიჩები“. წარმომადგენელი ითხოვდა ქონების რეკვიზიციიდან გათავისუფლებას და ავტომობილის კანონიერი მფლობელებისთვის დაბრუნებას (Fransoni, 1921).



Copia

ИТАЛЬЯНСКОЕ ПРЕДСТАВИ-
ТЕЛЬСТВО В ГРУЗИИ.
№ 390
Тифлис, 26/4/21г.

В НАРКОМИНДЕЛ
ГРУЗИИ.

При сем препровождаю одно заявление и копия акта о реквизиции Автомобиля и его частей марки "Н.А.Г." принадлежащее Итальянскому гражданину фирмы Братя РИЧЧИ.

Прошу принять меры об освобождения от реквизиции, и сообщить результати принятых Вамы мер.

С почтением,

ИТАЛЬЯНСКИЙ КОРОЛЕВСКИЙ ПРЕДСТАВИТ
В ГРУЗИИ. (ФРАНЗОНИ



Представителю Королевства Италии в Грузии.

Гражданина Анжело Карловича Андреолетти.

Около месяца тому назад я обратился к Вам с просьбо о содействии к возврату мне помещения магазина в мо ем доме № 79 по Михаиловской улице,которое одно вре мя былот занято канцеляриеи 9 Жилищного района а за тем несколько месяцев пустовало.

5 ноября это помещение вновь оказалось занято под столовую гаража Центральной Авто-Секции.

Так как магазин этот совершенно не приспособлен под столовую,то приготовление на несколько сот человек обедов прямо во дворе,в привезенных для это го громадных чанах,является крайне анти-санитарным.

В этом дворе помещается моя мраморная мастерская,и,конечно,работы в ней теперь очень стеснены,та как до сего времени все материалы и инструменты у меня свободно лежали во дворе,а теперь во дворе постоянно толпится масса чужого народа .

Кроме этого есть большая опасность в пожарном отношении.

Поэтому,я вновь прошу Вашей защиты моего иму щества и моего права собственности и прошу Вашего ходатаиства о выселении столовои и о возврате мне моего магазина.

Итальнскии граданин

Тифлис,ноября 14 дня 1921 года.

дოკ.:1 дოკ.:2

1921 წლის 14 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტით (დოკ.:2) გადმოცემულია თბილისში მოღვაწე იტალიელი მარმარილოს ოსტატის, ანჟელო ანდრეოლეტის თხოვნა იტალიის სამეფოს წარმომადგენლობის მიმართ. საქმეში მოცემული ინფორმაციით, რამდენიმე თვის წინ მისი მაღაზიის ფართში უკანონოდ გაიხსნა მეცხრე საცხოვრებელი რაიონის კანცელარია, შემდეგ კი იქ ცენტრალური ავტოსექციის სასადილო განთავსდა. ანდრეოლეტი აღნიშნავს, რომ ეს გარემოება ქმნის ანტისანიტარიულ პირობებს, არ შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს და წარმოშობს ხანძრის საშიშროებას. ამის გამო, შეუძლებელი გახდა მისთვის კუთვნილი ხელსაწყოებისა და მასალების უსაფრთხოდ შენახვა და გამოყენება. იგი საკონსულოს შუამდგომლობის თხოვნით მიმართავს, რათა შენობა დაუბრუნდეს, როგორც აღნიშნული უძრავი ქონების კანონიერ მფლობელს (Andreoletti, 1921).

კვლევის ფარგლებში მოძიებული მომდევნო დოკუმენტი (დოკ.:3) აღწერს „იტალიური საზოგადოება შავი ზღვისთვის“ კანტორის ლიკვიდაციას ბათუმში. (Società Italiana per il Mar Nero, 1921) იგი დაარსდა 1920 წელს, იტალიის მთავრობის მხარდაჭერით. საზოგადოების მიზანი იყო რუსეთის მოსაზღვრე იმ ევროპული ქვეყნების დახმარება, რომლებსაც რუსეთში მიმდინარე რევოლუციური პროცესების გავრცელება ემუქრებოდათ (Tonarelli, 2008). მისი წინამორბედი იყო 1919 წელს იტალიის მთავრობის მხარდაჭერით შექმნილი „იტალიურ-რუსული საზოგადოება შავი ზღვისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა ანტისაბჭოთა „თეთრი“ ძალებისთვის სამხედრო და ლოჯისტიკური მასალების მიწოდებას. დაწესებულების კაპიტალი 3 მილიონ ლირას შეადგენდა და ძირითადად, იტალიის კომერციული ბანკის მიერ იყო დაფინანსებული. კომპანია ასევე ცდილობდა ეკონომიკური შეღავათების მიღებას სამთო, ნავთობისა და სარკინიგზო სექტორებში. 1920 წელს მისი სახელწოდება შეიცვალა და „იტალიური საზოგადოება შავი ზღვისთვის“ გახდა. ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, კომპანიის ლიკვიდაცია 1922 წლიდან დაიწყო. ეს პროცესი 1928 წელს დასრულდა, მას შემდეგ, რაც კომპანიამ 45 ორთქლმავალი გაყიდა (Tonarelli, 2008).



SOCIETA ITALIANA
PER IL MAR NERO
Capitale L. 8.000.000.
SEDE SOCIALE: MILANO
E AGENZIA A TRIESTE.

Succursali:
COSTANTINOPLI — VIENNA con agenzie nei principali porti dell'ANATOLIA e
BATUM e TFLIS per la GEORGIA
SOFIA — BULGARIA con agenzia a VARNA
GALATZ — ROMANIA

Da citarsi nella risposta
№ 44.

MILANO
VIA VIGNA, 2

г.Батумъ Августа 10-1921г.

ГОСПОДИНУ ИТАЛЬЯНСКОМУ КОНСУЛУ
г.Батума

Милостивый Государь.

Настоящимъ имѣемъ честь довести до Вашего — свѣдѣнія, что согласно распоряженія нашего Правленія въ Миланѣ, отъ 15-го Іюля с.г. и нашего Константинопольскаго Отдѣленія, за № 1256, и 1277, мы съ 1-го Августа с.г. ликвидировали дѣятельность — нашей Батумской конторы и въ настоящее время ликвидація нашихъ дѣлъ завершается.—

Въ виду изложеннаго просимъ не отказать принять наше означенное заявленіе къ свѣдѣнію и оградить насъ отъ возможныхъ недоразумѣній при раскладкѣ налоговъ и т.подбон. Вмѣстѣ съ тѣмъ доводимъ до — Вашего свѣдѣнія, что при предидущемъ Правительст мы не были обложенн налогомъ и сдѣлали лишь посильное пожертвованіе въ размѣрѣ 250.000рубле

Съ совершеннымъ почтеніемъ

Paralaffi

SOCIETA ITALIANA

Da TELEGRAFARE: MARNERO — MILANO
Codice usato A.B.C. 5ª Edizione

ДОКУ: 3

ჩვენ მიერ გამოკვლეული მორიგი დოკუმენტი იტალიის მოქალაქეების ძარცვის ფაქტების შესახებ გვაუწყებს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა 1921 წლის მაისით თარიღდება: გაიძარცვა იტალიის მოქალაქე, გვიდო პერას, საამქრო „ე. ლუკი“ (დოკ.:4). მოქალაქე ნაძარცვის დაბრუნებას ითხოვს (Fransoni, 1921). 1921 წლის 14 ოქტომბრის ნოტაში (დოკ.:5) კი საუბარია იტალიის მოქალაქეებზე თავდასხმაზე, ძარცვასა და კომპანია „საგოსთვის“ კუთვნილი ქონების დაზიანებაზე (Fransoni, 1921).



ИТАЛЬЯНСКОЕ ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВО В ГРУЗИИ.
№ 453
Тифлис, 25/5/21г.

В НАРКОМИНДЕЛ
ГРУЗИИ.

Сегодня ночью с 24 на 25 го с/м была произведена со взломом магазина принадлежащего Итальянско подданному гражд. ПЕРА ГВИДО под фирмой " Э. ЛУКК" находящееся по Ольгинской улице № 3 в котором находилось товары принадлежащий так же Итальянско подданным.

Об этом было заявленно надлежащим властям т.е. Начальнику Уголовной Милиции.

Прошу Наркоминделу заинтересоватся по этому делу перед начальника Уголовной Милиции дабы еще и этот раз с успехом влажилибы все овой познанне об розыске украденых вещей которыя соотовляют довольно крупнную сумму.

С почтением,

ИТАЛЬЯНСКИЙ КОРОЛЕВСКИЙ ПРЕДСТАВИТЕЛЬ В ГРУЗИИ.
(ФРАНЗОНИ)

ДОКУ.:4



Тифлис, 25/5/21г.

ИТАЛЬЯНСКОЕ ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВО В Грузии
№ 2216

Тифлис 14-го Октября 1921г.

Народному Комиссару Иностранных Дел С.С.Р. Грузии.

Согласно полученным мною сведениям, в среду 12-го Октября, вечером, на ст. Батум было произведено нападение на группу Итальянцев возвращавшихся в Тифлис. Подробнос нападения мне еще неизвестны но по полученным мною данным у гражданина Пера отнят чемодан в котором находилось 10.000 Итальянских лир, у гражданина Рицци Отобрано 4.000 франков, похищены также ценности принадлежащие О-ву "Сего".

Оставляя за собой право предпринять дальнейшие шаги для удовлетворения пострадавших лиц, прошу Вас, не отказать в срочном распоряжении выяснении обстоятельств настоящего дела разыскании преступников и отобрании у них похищенных ценностей.

О последующем, прошу поставить меня в известности

ИТАЛИАНСКИЙ ПРЕДСТАВИТЕЛЬ В ГРУЗИИ
(Франзони)

ДОКУ.:5

სტატიაში განხილული დოკუმენტები მხოლოდ ერთი ნაწილია იმ საარქივო მასალისა, რომელიც ასახავს საქართველოში მცხოვრები იტალიელების მდგომარეობას. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ

აღმოჩნდა იტალიის მოქალაქეები და მათი საწარმოები რთულ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ. დოკუმენტებით მკაფიოდ ვლინდება ტენდენცია: საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საქართველოში მცხოვრები იტალიელები და მათი საწარმოები მტრულ გარემოში აღმოჩნდნენ. ხელყოფილი იქნა მათი კერძო საკუთრება, ეკონომიკური საქმიანობა იძულებით შეწყდა (ან იხურებოდა), ხოლო სისტემური უსამართლობისა და შექმნილი კრიმინალური ფონის გამო მათ პირად უსაფრთხოებას საფრთხე დაემუქრა. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესები, ზოგადად, საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას ასახავდა კერძო საკუთრების მიმართ; თუმცა, აქვე თვალსაჩინოა, რომ მათ განსაკუთრებული გავლენა იქონიეს სწორედ უცხოელ მოქალაქეებზე, რომელთა მოლოდინი მათი უფლებების დაცვის თაობაზე, არსებული ახალი კურსის პირობებში, არ გამართლდა. იდევნებოდა არა მარტო მოქალაქეები, არამედ რეგიონიდან ქვეყანა, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო მანდატი უნდა აეღო. აღსანიშნავია, რომ იტალიის სამხედრო მისია ვერ განხორციელდა იტალიაში შიდა პოლიტიკური უთანხმოებების გამო და რეგიონში არსებული წითელი საფრთხის გათვალისწინებით.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა, რასაც მომდევნო ათწლეულებში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში, დასავლეთისაგან სრული იზოლაცია დაემატა. ქვეყანა რკინის ფარდის მიღმა აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, იტალიის მოქალაქეების კვალი აღინიშნებოდა საქართველოს არქიტექტურაში, წარმოებაში, მუსიკაში. მიუხედავად იმისა, რომ იტალია დასავლურ ბლოკში შედიოდა, საბჭოთა პერიოდში მის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას ნაწილობრივ მიეწოდებოდა. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალები, სადაც საბჭოთა კავშირში იტალიელთა დელეგაციების ვიზიტები რამდენჯერმე ისახება, ძირითადად, კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის. მეოცე საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში არათუ იტალიის ამბიციები რეგიონის მიმართ არსად ჩანდა, არამედ თავად საქართველოც კი ცალკე სუბიექტად, ბუნებრივია, არ აღიქმებოდა. მაშინ, როდესაც, მეოცე საუკუნის დასაწყისში სულ სხვა სურათი ისახებოდა. მაგალითისთვის, იტალიის პრემიერ მინისტრი, ფრანჩესკო ნიტი, მემუარში „ევროპა მშვიდობის გარეშე“, სადაც საკუთარ მიღწევად მიიჩნევს იტალიის სამხედრო მისიის ამიერკავკასიაში გაგზავნის ინიციატივის ჩაშლას, უთითებს, რომ არაერთი იტალიელი სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსისტი და ინტელექტუალი დარწმუნებული იყო იტალიის მანდატის წარმატებაში ამიერკავკასიაში და ამ რეგიონის მნიშვნელობაში იტალიისათვის (Nitti, 1921, p. 140).

საბჭოთა პერიოდში ის ფაქტორები, რაც იტალიას დასავლურ დემოკრატიად აყალიბებდა განრიდებული იყო ძირითადი დისკურსიდან და იგი კულტურის, მოდის, კინოფილმების, მუსიკის და მშვენიერი პეიზაჟების ქვეყნად იყო წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ამ ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმის დამარცხების და დემოკრატიული მმართველობის აღდგენის შემდეგ, აქტუალური იყო ადამიანების უფლებების, თავისუფლების დაცვა და მათი ხელშეუხებლობა. იტალიასა და საქართველოს შორის სრულუფლებიანი ურთიერთობები მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირობებში განახლდა.

დასკვნა. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, საქართველოში მცხოვრები იტალიელების საქმეების განხილვა გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად მოხდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და ეკონომიკური საქმიანობის მარგინალიზაცია ახალი რეჟიმის პირობებში. მათი ქონება რეკვიზიციას დაექვემდებარა, ბიზნესები ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო პიროვნებათა უსაფრთხოება რისკის ქვეშ დადგა. იტალიის საკონსულო ორგანოები ცდილობდნენ ჩარევას, მაგრამ მათ პროტესტს მცირე შედეგი ჰქონდა. მსგავსმა გარემოებებმა, შედეგად, მათი საქმიანობის მკვეთრი შეზღუდვა და საქართველოდან საბოლოო გასვლა გამოიწვია.

მომდევნო კვლევისათვის საინტერესო იქნებოდა საარქივო მასალის სრული შესწავლა და მათში იდენტიფიცირებული პირების შესახებ დამატებითი წყაროების მოპოვება საქართველოს და იტალიაში. აღსანიშნავია, რომ იტალიაში არის კერძო და საოჯახო არქივების და ზოგადად, ისტორიული მასალისა და მონუმენტების შენარჩუნების ძალიან კარგი ტრადიცია. ვფიქრობთ, აღნიშნული ტიპის სამეცნიერო ნარკვევები საინტერესოა თავად საქართველოს ისტორიის შესასწავლად, რადგან ნათელი მოეფინება ბევრ მნიშვნელოვან ფაქტს და შეიქმნება მათი ინტერპრეტაციის დამატებითი შესაძლებლობები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

მორჩილაძე, ა. (2015). *ჯუზეპე გარიბალდი (1807-1882). ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ თბილისი: ლიტერატურაში.* (ზ. აბზიანიძე, Ed.) თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. [morchiladze, a. (2015). juzep'e garibaldi (1807-1882). liberalizmis ep'oka kartul tbilisi: lit'erat'urashi. (z. abzianidze, Ed.) tbilisi: shota rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'i] https://rustaveli.org.ge/res/docs/2d19be6ee62a94051f1916b51553893a3b1a8520.pdf

ხუბაშვილი, ი. (2004). *ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში.* თბილისი: მერიდიანი. [khubashvili, i. (2004). venetsiisa da plorentsiis dip'lomat'ia XIII-XV sauk'uneebshi. tbilisi: meridiani]

Andreoletti, A. (1921 წლის 14 ნოემბერი). Fondo: Ambasciata (Mosca), Consolati del Nord e Tiflis, Busta: 39, Fascicolo: R3. Ministero degli Affari Esteri, L'Archivio Storico Diplomatico.

Fransoni. (1921 წლის 21 აპრილი). Fondo: Ambasciata (Mosca), Consolati del Nord e Tiflis, Busta: 39, Fascicolo: R3. Ministero degli Affari Esteri, L'Archivio Storico Diplomatico.

Fransoni. (1921 წლის 25 მაისი). Fondo: Ambasciata (Mosca), Consolati del Nord e Tiflis. Busta: 39, Fascicolo: R3. Ministero degli Affari Esteri, L'Archivio Storico Diplomatico.

Fransoni. (1921 წლის 14 ოქტომბერი). Fondo: Ambasciata (Mosca), Consolati del Nord e Tiflis. Busta: 39, Fascicolo: R3. Ministero degli Affari Esteri, L'Archivio Storico Diplomatico.

La Mantia, C. (1997). *La missione militare italiana nel Caucaso (1861-1866), Le fonti archivistiche dell'Ufficio Storico.* Roma: Stato Maggiore Del Esercito Ufficio Storico. მოპოვებული https://issuu.com/rivista.militare1/docs/la-missione-italiana-nel-caucaso-testo-დან

Mengarelli, P. (1998). FRANSONI, Francesco. F. I. Gabbi-ში, *Dizionario Biografico degli Italiani* (Volume 50). Roma: Istituto della enciclopedia italiana.

Nitti, F. (1921). *L'Europa senza pace.* Firenze: R. Bemporad & Figlio Editori. მოპოვებული https://archive.org/details/leuropasenzapace00nitt/page/140/mode/2up-დან

Società Italiana per il Mar Nero. (1921 წლის 10 აგვისტო). Fondo: Ambasciata (Mosca), Consolati del Nord e Tiflis, Busta: 39, Fascicolo: R3. Ministero degli Affari Esteri, L'Archivio Storico Diplomatico.

Tonarelli, E. (2008 წლის დეკემბერი). La Società italiana per il Mar Nero. (310). Salò ETR Editrice Trasporti su Rotaie Società Cooperativa.